დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109.109222223**
თარიღი:**10/08/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 09/08/2022 წლის №108-1082222121 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს აუქციონის ფორმით, თანდართული დანართით წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები 2022წ. დანართი 1

N	მისამართი	კატეგორია	საკადასტრო კოდი	მიწის დანიშნულება(საძოვარი)	მიწის დაზუსტ ფართობი/კვ.მ/	შენობა-ნაგფებობა კვ.მ	საწყისი /ლა
1	ქ. დმანისი	სასოფლო-სამეურნეო	82.18.42.428	სახნავი	18026		570
2	დმანისი ს. ქვემო კარაბულახი	სასოფლო-სამეურნეო	82.07.44.228	საკარმიდამო	1104		1200
3	დმანისი ს. პანტიანი	სასოფლო-სამეურნეო	82.18.42.426		17359		564
4	ქ. დმანისი	სასოფლო-სამეურნეო	82.18.42.427	სათიბი	2588		564
5	ქალაქი დმანისი , ქუჩა 9 აპრილის , N 68ა	არასასოფლო-სამეურნეო	82.01.46.470		564	245	300